№ 7 იანვარი 10, ხუთშაბათი 1891 იანვარი 10, ხუთშაბათი № 7

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორ კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ა. ი. ფიურერის ცირკი

1[illegible] იანვარს გამართული იქნება ფრიად ვრცელი წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და საუკეთესო სათამაშოებს ითამაშებს. დასასრულ დასდგამენ ყველას მიერ საყვარელს კომიკურს პანტომიმას:

იეზუიტები

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის ძლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევს 2 საათზედ, საღამოს — 8 საათზედ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლს თავადს სიმონ გიორგის ძეს წერეთელს აქვს პატივი აცნობოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელ 8 მაისს ამა 1891 წელსა დაიწყება, თანახმად 81 მუხ IX ტომ. გამ. 1876 წ., ჩვეულებრივი გუბერნიის რჩევის კრება.

რუსეთის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების

აგენტად ფოთში, რ. კ. ოდინეცის მაგიერ, დანიშნულია გუტმანისა და ამხ. ფირმის პატრონი, მავრიკე ბერნარდის ძე მენდლი და ამიერიდგან იმან [illegible] მიიღოს ხოლმე დასაზღვევად [illegible] გვარი ქონება და აგრეთვე ხორბლეულობა, როგორც ქ. ფოთში, აგრეთვე იმის შემდგომებშია.

ინსპექტორი რუსეთის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოებისა [illegible] რანოვი. (3—1)

ტფილისი, 9 იანვარი

წარსულს წერილში მკითხველებს ვუამბეთ, რა უბედურება მოსდევს ფილოქსერის გავრცელებას. ეგრედ წოდებულს ფრთიანს ფილოქსერას, მართალია, ისეთი ღონიერი ფრთები არა აქვს, რომ ძლიერ შორს გაფრინდეს, მაგრამ ქარის შემწეობით კარგა შორს გადაფრინდება. უფრთო ფილოქსერა გადადის ერთის ვაზიდგან მეორეზე, და, რასაკვირველია, თავის თავად ისე შორს ვერ წავა, როგორც ფრთიანი, მაგრამ ესეც აჰყვება ხოლმე ქარს. ამ გვარ გავრცელებას ფილოქსერისას, რასაკვირველია, კაცი წინ ვერ დაუდგება, და სწორე მოგახსენოთ, არც თუ ისე რიგად საშიშია. ამ გვარის გავრცელებით ფილოქსერა შორს ქვეყნებში ვერ გადავა, ფილოქსერა მოედო მთელს ევროპას ამ სახით გავრცელების შემწეობით-კი არა, არამედ უცოდინარისა და გაუფრთხილებელის კაცის წყალობით. კაცს გადმოუტანია ფილოქსერა და გაუვრცელებია ამერიკიდგან საფრანგეთში, იქიდგან იტალიაში, შვეიცარიაში, ავსტრი - ვენგრიაში, გერმანიაში, ყირიმში და თვით ჩვენს კავკასიაშიაც. გადმოუტანიათ ეს საშინელი სენი, როგორც სხვა მცენარეებისა, აგრეთვე თვით ვაზის გაგზავნ-გამოგზავნითაც. რადგანაც ფილოქსერა მიწაშია დაბუდებული, ამის გამო შეიძლება რომ გადაჰყვეს ძირკვიანად მოგლეჯილს ვაზს; შემდეგ, თუმცა ფილოქსერა ვაზის მეტს არა ხესა და ხეხილს არ უდგება, მაგრამ, თუ ეს უკანასკნელები ფილოქსერიანს ვენახშია დარგული, ძლიერ საშიშია მათი გადატანა სხვა ადგილას: ძლიერ ადვილად შეიძლება, რომ ფილოქსერა იმ მიწას გადაჰყვეს, რომელიც მცენარის ძირკვებზეა მიკრული.

გარდა ამისა, კაცი ყოველთვის უნდა ერიდოს, მიწის გადატანას ფილოქსერიანის ადგილიდამ სხვა ადგილებში, რა გზითაც უნდა იყოს. იმერეთში იციან თოხის თხოვნა ანუ მუშის დაჭერა თავის თოხითა. ამ გვარი ჩვეულება ხელს უწყობს ფილოქსერის გავრცელებას, ამიტომ რომ ბევრჯელ კაცმა არც-კი იცის, არის ფილოქსერა იმ ვენახში, სადაც უკანასკნელად მან თოხი ამუშავა თუ არა, და, თუნდაც იცოდეს, არ იცის ანუ არა სჯერა, თუ თოხზე მიკრულს მიწასთან ფილოქსერა გადააქვს თავისს მეზობლისას და მით ჰღუპავს და აწყლებს საწყალს კაცსა. ბევრჯელ კაცს ფილოქსერა გადააქვს თავის ფეხით ანუ ტანისამოსით: როდესაც კაცი ფილოქსერიანს ვენახში შედის, სადაც ფილოქსერა ფუფუნებს, ფეხის მტვერს, ლება, ფილოქსერა აეკრას, ანუ ხელზედ მიეკრას უჩინარი ფილოქსერა ანუ მისი კვერცხი; შესაძლებელია აგრეთვე, რომ ნიავმა ტანისამოსის ბეწვებში ან ნაკეცებში ჩაჰქალოს ეს უწყალო მტერი და ამ გვარად გადატანილ იქმნას ერთის ადგილიდამ მეორე ადგილს...

ამას გარდა ფრთიანმა ფილოქსერამ იცის ხოლმე კვერცხის დადება ორის წლის ვაზის რქის ქერქ ქვეშ; ვენახის მოსაშენებლად იციან რქის გადატან-გადმოტანა და ამასთანავე ფილოქსერასაც გადაიტანენ ხოლმე. ამ გზით იფინება ფილოქსერა მთელს იმერეთში და ედება ყოველს სოფელსა და ყოველს ვენახს. თვით იმერეთში კარგი იქნება რომ გაუფრთხილდნენ ვაზის რქის და მცენარის გადატან-გადმოტანას. თუ სხვის თოხის ანუ ბარის ხმარება დასჭირდეს კაცს თავისს ვენახში, კარგია რომ ვენახში შეტანამდე იარაღს ნავთი წაუსვას; აგრეთვე ნავთში დასველებული ჩოთკით უნდა გაუწმინდოს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ყველას, ვინცკი საეჭვო ადგილიდგან არის მოსული და ვენახში აპირობს შესვლას. მეტად დაკვირვებით და მუყაითად უნდა გაიწმინდოს ნავთიანის ჩოთკით ფეხსაცმელი. მართალია, ამ გვარმა სიფრთხილემ იქნება სამუდამოდ-კი არ დაიფაროს ვენახი, მაგრამ, ეს უეჭველია, რომ უბედურებას ბევრად დააგვიანებს. დაგვიანებას კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ რომ 6—8 წლის შემდეგ ამერიკის ვაზი მოგვესწრება და შეიძლება მანამდისინ ფილოქსერის მოსარჩენი წამალიც გაგვიაფდეს, მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

მეტად უნდა გაფთხილდნენ ქართლისა და კახეთის მევენახენი. ლიხის მთები ანუ კორტოხი, რომელიც ქართლისა და იმერეთის საზღვარზედ მდებარებს, რასაკვირველია, არ გადმოუშვებს არც ფრთიანსა და არც უფრთო ფილოქსერას ქარის საშუალებით.

ქართლში და იქიდგან კახეთში თუ ფილოქსერა გადმოვა, ეს უთუოდ კაცის საქმე იქნება. შეიძლება რომელიმამე უცოდინარმა კაცმა გადმოიტანოს იმერეთიდგან ან ვაზის რქა, ან ხე და ხეხილი, ანუ იქაურს მიწის მოსავალს გადმოაყოლოს ეს უჩინარი და საშინელი მწერი. ბევრი მუშა გადმოდის იმერეთიდგან ჩვენში ბაღ-ვენახებში სამუშაოდ და ყველა განათლებულსა და გამგე მეურნეს ჭმართებს თვალყური ადევნოს, რომ იმათ რაიმე გზით ფილოქსერა არ გადმოიტანონ. მართალია, მთავრობისაგან აღკრძალულია ვაზისა და სხვა მცენარის გადმოტანა სურამის უღელტეხილს აქეთ, მაგრამ ჯერ ერთი რომ მცენარეებს გარდა, ფილოქსერის გადმოტანა შეიძლება სხვა საშუალებითაც, და მეორეც, თუ თვით ჩვენი მემამულენი, როგორც რიგია, ყურადღებას არ მიაქცევენ ამ გარემოებას, ვერავითარი მთავრობის აღკრძალვა ვერ დაიფარავს ფილოქსერისაგან აღმოსავლეთს საქართველოსაც.

არ. ფ—ლოვი

## ფელეტონი

### მცირე შენიშვნა

საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ.

თან-და-თან საქართველოს წარსულს შუქი ეფინება. უკვე ახლოა დრო, ოდესცა წყვდიადით მოცული ისტორია ქართველთა გაცისკროვნებული იქნება. ყოველ მხრივ ჩანს ნიშნები იმისი, რომ, აწ მრავალთაგან დაწუნებული, „ქართლის-ცხოვრება“ ჭეშმარიტი მატიანე ყოფილა ჩვენის ერისა და-კი არა ვახტანგისაგან მოგონილი და შეთხზულ-შეხანხლული ამბავი. სჩანს, რომ უმთავრესნი გარდმოცემანი ამ ძეგლისა სრულიად თანახმანი არიან უუძველესს მწერალთა მოთხრობებისა და აგრეთვე ახლად ნაპოვნ მე IX—X-ე საუკ. ისტორიისა, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და რომელშიაც უმთავრესი ამბები მოკლედ, ჯუმლად, აღნიშნულია. დღეს ჩვენ არა გვსურს ქართლის ცხოვრებას თავით ბოლომდე თვალი გადავავლოთ და შევუდაროთ მას სხვა წყაროები. ამ საგანს ჩვენ შევეხებით შემდეგ ქართულ ენის და მის კილოების შედარების ჟამს. ხოლო ახლა-კი ვიტყვით, რომ ესრეთი შესწავლა ქართულის ენისა და მის კილოებისა სრულიად ცხად ჰყოფს ქართველთა მოდგმის უუძველეს დროის ისტორიას და მაშასადამე მის ნათესაურ კავშირსაც სხვა თესლ-ტომთან. ამ საგნის შესახებ მრავალი მასალა გვაქვს შეკრებილი და მცირე „ქართულ-სვანურ—მეგრულ-ინგილოურ—ხევსურული“ შედარებითი ლექსიკონი და სამასიოდე სამეტყველო თქმაც (ფრაზა) ჩვენს ენა-კილო-კავებზედა ლაზურითურთ (ჭანური), ლეკურისა, უდურისა და ჩაჩნურითურთ შეკრებილ-შედგენილი. ყველა ამ მასალას ახლო მომავალში გავაცნობთ მკითხველებს. ახლა-კი „მოიერიეთ.“ ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებაზე.

ახლად ნაპოვნი «მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს, რომ „აზოჲ იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, ძე არან ქართველთა მეფისაჲ“. მკითხველი ჰხედავს, რომ თუმცა აზოს წინად ქართველ თა მეფე არან ყოფილა, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, მატიანე პირველ მეფედ არანს-კი არა ჰხადის, არამედ მის ძეს აზოს. თუ არან ქართველთა მეფე იყო, მაშ იგი უნდა ყოფილიყო პირველი მეფე ქართველთა და არა აზო. რად მოჰხდა ეს ასე? რამ გამოიწვია ასეთი წინააღმდეგობა?

ამ საკითხის ახსნას იმავე მატიანეში ვპოებთ. აზო დიდძალის მხედრობით შემოსულა ქართლს და დაუპყრია ეს ქვეყანა და შემდეგ ამისა ისევ დაბრუნებულა თავის მამისეულ ქვეყანაში—ქართლს. მაგრამ სჯობია, მატიანისავე სიტყვით ვილაპარაკოთ: „ხოლო აზოჲ წარვიდა არან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანნა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა ჰყვანდეს კერპნი ღუთად: გაცი და გაიმ.“ აქედგან ცხადად სჩანს, რომ აზომდე ქართლი სხვა ქვეყანასაც ჰრქმევია და ამ სხვა ქვეყანაში მაშინ მეფედ ყოფილა აზოს მამა. სად იყო ეს მეორე ქართლი ანუ, ასე ვსთქვათ, დედაქართლი? ეს დედა ქართლი უწინარეს დროს ყოფილა შიგ არმენიის შუაგულში. ამ ამბავს ასაბუთებს ფრანსუა ლენორმანისაგან წაკითხული ლურსმებრივი ნაწერები ვანის ტბის ყურის კლდეზედ და აგრეთვე გარდმოცემანი სტრაბონისა, ჰეროდოტისა, ქსენოფონტ-სა, მოსე ხორენელისა და აგრეთვე ჩვენის „ქართლის ცხოვრებისა.“

ქართლის ცხოვრების თქმით ქართველთა წინაპარი პირველად დაესახლა „ორთა მათ მთათა შორის,—კაცთა შეუვალთა,—არარატსა და მასისსა და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი. ცხონდა იგი ქვეყანა წელ და ვერღარა იტევდა ქვეყანა არარატისა და მასისისა.“ ამისა გამო „წარმოიყვანნა იგინი ჩრდილოთ კერძო“ და დაასახლა თამარის დროინდელ საქართველოს საძღვრებში.

ფრ. ლენორმანი ამბობს, რომ სომხების ისტორიკოსებისაგან მოთხრობილი ამბები სომხების მეფე ტიგრანის უწინარეს დროისა სრულიად არ შეეხება ამ ერის ისტორიას, არამედ ყველა ეს ამბები და გარდმოცემანი ეკუთვნიან იმ ხალხს, რომელიც უუძველეს დროიდგანვე (2,5000—2000 ქრ. წინად) მკვიდრობდა არარატსა და მასისს ღელე-ყურეშიო. ამ ხალხს ერქვა ალაროდიანი, ხალდი და ამავე ხალხთან მეზობლად მოსახლეობდენ იბერნი, ალბანნი, მაკრონნი, კაპადოკელნი და სხ. ლენორმანის აზრით თუმცა ყველა ამ ხალხებს საკუთარი მეფეები ჰყოლიათ, მაგრამ ყველაზე უძლიერესი-კი ყოფილა ხელმწიფე არარატ—მასისისა და ამ არარატ—მასისის ხალხს ჩრდილოეთისკენ გადასახლება დაუწყვია მე-7—6 საუკ. ქრ. წინად. [1]).

ამასვე მოწმობს მოსე ხორენელი, როდესაც ამბობს, რომ სომხეთი [illegible] პარი ჰაოსი არარატს რომ მოვიდა, აქ ბინადრი ხალხი დახვდაო. ჰაოსი აქედგან გაბრუნებულა დასავლეთისკენ და დასახლებულა ხარკს. შემდეგ ცოტა ქვემოთ განაგრძობს: „წინად ჩვენ ქვეყანაში ჯარის დასტები იყო შედგენილი სხვა ხალხთა ტომთაგან... ეს ჯარის კაცები უწინდელ მეფეთაგან ჩამომავლობდნენ, სწორედ ისრე, როგორც დღეს ვხედავთ ივერიაში სეფეწულთ“ (ეს სიტყვა ქართულადვეა მოყვანილი). კიდევ: „პართელი ვაჰარშაკი არანს, კაცსა ფრიად გამოჩენილსა, სიბრძნითა და ჭკუით პირველ პირს, ამწესებს მმართველად იმ ქვეყნისა, რომელიც არის ჩრდილოეთს, რომელიც ფრიად დიდია, ჩინებულია და მრავალად-დასახლებული დიდის მდინარის მტკვრის ხეობაში... ამბობენ, რომ არანის შთამომავალნი არიან: უტეაცი (უდნი), გარდმანაცი (გარდაბანი), წოდეაცი (წოვა?) და სამთავრო გარგარაცნი. ეს გარგარაცნი ჩამომავლობენ მირდატისაგან და სხ. (იხ. მ. ხორენელის ისტორია).

მოსე ხორენელის ბუნდად მოთხრობილ ამბებს ნათელს ჰფენს სტრაბონის ნაამბობი. იგი ამბობს: ძველი გარდმოცემის მიხედვით სომხეთს არმენსა გამოუვლია თესალიის ქალაქ არმენიუმიდამ და ამხანის კვალს მიჰყვა არმენიამდის. თუ დაუჯერებთ ალექსანდრე მაკედონელის

[1]) ამ საგანზე იხ. ოქრომჭედლიშვილის მიერ ნათარგმნი ფ. ლენორმანის წერილი „ივერიაში“ და აგრეთვე ფ. ლენორმანის „აღმოსავლეთის ისტორია“, ტომი II.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა საზღვარ გარეთიდგან სპარსეთის ხელოვნებათა და არტილერიის მინისტრი დერეხან გირ-ხანი, რომელიც თეირანში მიდის.

*** დღეს, ამ თთვის 10, ნაშუადღევის პირველს საათზე ქალაქის საავადმყოფოში ექიმი ბ-ნი მაისურიანცი, რომელიც ამ ახლოს ხანში დაბრუნდა ბერლინიდგან და თან მოიტანა პროფესორ კოხის მიერ გამოგონილი სიჭლექის წამალი, პირველად სცდის ამ ლიმფას ჭლექით ავადმყოფებზედ, საცდელად ჯერ-ჯერობით ამორჩეულია სულ რვა ავადმყოფი, რომელთაც რვა წელიწადზედ მეტი არ არის რაც ეს სენი შეჰყრიათ. ამათ გარდა ექიმმა ბ-ნმა მაისურიანცმა საავადმყოფოში მიიყვანა გუშინ-წინ კალატოზის პეტრე ბუჰკურიძეს ქალი, ჩვიდმეტის წლის ელისაბედი, რომელსაც სიჭლექე გამოსჩენია ხუთის წლის წინად. ამ წამლის ცდას დაესწრებიან საგანგებოდ მიწვეულნი ექიმნი. თუ ამ ცდამ კეთილი ნაყოფი მოიტანა და ავადმყოფებს მართლა სიკეთე რამ დაეტყო და სენისაგან განიკურნენ, მაშინ ბ-ნ მაისურიანცს ნებას დართავენ საქალაქო საავადმყოფოსთან გამართოს ჭლექების მოსარჩენი განყოფილებაც.

*** გუშინ-წინ დილით ტფილისში ჩამოვიდა ბაქოდგან მისი უმაღლესობა სპარსეთის პრინცი მირზა-ზია-ედ დოულე, რომელსაც ბაქოდგან თან მოჰყვა სპარსეთის ტფილისელი ელჩი გენერალ-ადიუტანტი მირზა-მამედ-ალი-ხან-მუიდ ულ-ვიქარე.

*** როგორც შევიტყეთ, 6 იანვარს კრუჟოკში გამართულ სათავად-აზნაურო სასწავლებლის ბალის დროს ამ სასწავლებლისათვის ორმოცი თუმანი შეუწირავს თ. ივანე სულხანის ძეს ჰავჰავაძეს.

*** ბათუმის სკოლის მასწავლებლად, განსვენებულ მ. ნათაძის მაგიერ, დაუნიშნავთ ბ-ნი შარაშიძე, რომელმაც საქალაქო მასწავლებლობის ეგზამენი ინსტიტუტში დაიჭირა. ახლად დანიშნული მასწავლებელი დღეს დილით, 10 იანვარს, უკვე გაემგზავრა ბათუმისკენ.

*** ჩვენ მივიღეთ ანგარიში წარსულის წლისა ტფილისის სასულიერო სემინარიასთან დაარსებულის ძმობისა წმ. ანდრია პირველ წოდებულის სახელობაზე ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. უკვე ათი წელიწადია, რაც ეს ძმობა არსებობს და შეუძლებელს მოსწავლეებს ხელს უმართავს გაჭირებაში თუ წიგნებით, თუ ტანისამოსით და თუ ფულით. როგორც ანგარიშიდგან სჩანს, წარსულს წელს ამ ძმობას სულ 3310 მ. და 63 კ. ჰქონია. თვით წარსულს წელს შემოჰსვლია 1526 მ. 98 კ. ხოლო დანარჩენი წინა წლიდგან დარჩენია. ამ ფულიდამ წარსულს წელში 1308 მ. 55 კ. ღარიბ მოსწავლეებზე დაუხარჯავს და 2002 მ. და 8 კ. ისევ კასსაში აქვს.

*** გორი: დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში სოფელს ვარიანში, გორის მახლობლად, ღამის რაინდებმა გაძარცვეს ორი შეძლებული გლეხის ოჯახი, საიდამაც მოიტაცეს 700 მ. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთეულება და 2000 მ. ბანკის ბილეთები. გაძარცული გლეხები დაუყოვნებლივ გამოეცხადნენ ადგილობრივს მაზრის უფროსს და შესჩივლეს თავიანთი უბედურება. მაზრის უფროსმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა ამ საქმის გამო, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ სამი დღის შემდეგ დანაკარგი ნივთებიც იპოვეს და დამნაშავენიც აღმოაჩინეს. დამნაშავენი არიან ორი ძმა ქუქუაშვილები და ერთიც ავ-კაცობაში უკვე განთქმული კოშორიძე, რომლებიც პოლიციის განაჩენითურთ გარდაეცნენ ადგილობრივს გამომძიებელს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსული წლის განმავლობაში, როგორც თითონ გორში, ისე გორის ახლო-მახლო სოფლებშიაც მრავალი ქურდობა და ავაზაკობა მოხდა, მაგრამ დამნაშავეთა კვალი ათში ერთხელაც არ ყოფილა მიგნებული. ამ ბოლო დროს ამ გვარ ავაზაკობათა რიცხვი შესამჩნევად შემცირდა და თუ ზოგჯერ მოხდება, დამნაშავეთაც ადრე იპოვნიან ხოლმე, ვიდრე წინად იყო.

*** 8 იანვარს ავურხანების ქუჩაზე, თავისს საკუთარს სახლში, უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი ისიდორ ვასილისძე კოროვანსკი. მიცვალებულის გვამი სანატომიო თეატრში კაჰგზავნეს.

*** ამ თთვის 7, საღამოზედ, სიღნაღის მცხოვრებელმა თედო ნიკოლოზის ძემ გულისაშვილმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ ავჭალის ქუჩაზე მე და ჩემს ამხანაგს ჩხუბი მოგვივიდა და ამ დროს ვიღაცამ ჯიბიდგან პასპორტი და 125 მან. ფული ამომაცალაო. ეჭვი გამოაცხადა ტფილისის მცხოვრებელს ექვთიმე ქართველოვზე, რომელიც უკვე შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს რკინის გზის მოხელემ დიმიტრი ვასილის ძემ დიმიტრიევმა წერილით გამოაცხადა პოლიციაში, რომ ვერის ხიდთან დაუკეტავის სადგურიდგან ფულის ქისა მომპარეს, რომელშიაც 30 მან. და სხვა-და-სხვა საჭირო ქაღალდი მქონდაო.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს ხანებში დიდი ლაპარაკი ასტეხა იმ აზრმა, რომ სამღვდელოებას ჯამაგირი დაენიშნოს, აღარ იყვნენ ხოლმე იძულებულნი კარ-კარს სიარულს, განსაკუთრებით სოფლებში, და დრამის მოკრებასაო. ეს ლაპარაკი მეტადრე უფრო იმან გამოიწვია, რომ ხმა გაისმა, ვითომ სენატშია ამ ჟამად წარდგენილი პროექტი მღვდლებისთვის ჯამაგირის გადაწყვეტისა და ჩქარა განიხილავენ კიდეც ამ პროექტსაო. ეს ხმა ოფიციალურად უარ-ყოფილ იქმნა კიდეც, მაგრამ მაინც ჟურნალ-გაზეთობა ამ საგანს დრო-გამოშვებით დაუბრუნდება ხოლმე და თავისს აზრს ამბობს. აი ეხლა კიდევ გაზ. „Новое Время“-ში დაბეჭდილია ხელ მოუწერელი წერილი ამ საგნის შესახებ. აი სხვათა შორის რას ამბობს ეს წერილი.

დიდი შეცდომა იქნება, საზოგადოდ რომ ითქვას, ვითომ მთელი ჩვენი სამღვდელოება დიდს გაჭირებასა და ხელ-მოკლეობაშიაო. დასავლეთის მხრის ეპარქიებში სამღვდელოებას უკვე დანიშნული აქვს ჯამაგირები, მაგრამ ამის მიზეზი არც მცირე შემოსავლიანობაა და არც მიწის ნაკლებულობა, არამედ ის, რომ იქ პასტორებსა და ქსენძებს დიდი ადგილი უჭირავთ და ამიტომ მართლმადიდებელ ეკკლესიის წარმომადგენელნიც იმათთან დაქვეითებულნი არიყვნენ. რუსეთის მეორე მხარეს, ციმბირის ეპარქიებში, სამღვდელოება საზოგადოდ კარგად არის უზრუნველ-ყოფილი და გვარიანს შემოსავალსაც იღებს.

საზოგადოდ, საერთოდ თუ არ ითქმის, ალაგ-ალაგ მართლა რომ ქონებრივად დიდად შევიწროებულია თურმე სამღვდელოება, „Церковный Вѣстникъ“-ის აზრით. ეს გაზეთი სწერს, რომ

სამღვდელოება ხელ მოკლედ სცხოვრობს უფრო ჩვენს განაპირა ქვეყნებში, ხოლო რადგან იმიერ-ბალტიისა და იმიერ-ვისლის სამღვდელოება უზრუნველ-ყოფილია, გაჭირებასა ჰგრძნობს სამხრეთის ეპარქიები და მეტადრე ჩრდილოეთისა, სადაც, ბუნების სიღარიბის გამო, თვით სოფლის მკვიდრნიც იშვიათად არ გამოსცდიან ხოლმე სიმშილს.

„Нове Время“-ს წერილი წინაღმდეგია ჯამაგირის დანიშვნისა და ამბობს,

არ უნდა დავივიწყოთ და მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში ყოველ ეკკლესიის კრებულს თავისი მიწა მამული აქვს და სხვათა შორის ამ მამულითაც სარგებლობს. ხმა გაისმა თუ არა, სამღვდელოებას ჯამაგირები უნდა დაენიშნოსო, იმასაც ამბობდნენ, რომ კრებულისათვის მამული საჭირო არ არის, რადგან მიწათ მოქმედება აცდენს და თავის მოვალეობას ისეთის სისრულით ვეღარ ასრულებენ, როგორც შესაძლებელიცაა და სასურველიცაო, თითქოს შრომა უშლიდეს რითიმე ხელს, ვითომ ჯამაგირით რომ იყვნენ უზრუნველ ყოფილნი და შრომა არა სჭირდებოდეთ-რა, ამით ზნეობრივ გაუკეთესდნენ, გონებრივად გაძლიერდნენ და სღვთისმეტყველო ლიტერატურაც გაამდიდრონ რითიმე.

ამის გამო ერთს საეკკლესიო გაზეთში მოყვანილია აზრი ერთის სოფლის მღვდლისა. აი ეს აზრი:

წერა რისამე რიგიანისა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც აკადემიური წიგნთ-საცავი ხელთ აქვს. უამისოდ-კი მთელს ზამთრულს სოფელში ჯდომა, გაურთობელად, შესაფერს საზოგადოებას მოკლებულად შეკუიდგან შეშლის ადამიანს და ან ღოთობას დააწყებინებს. მამული არ-თობს კიდეც სოფლის მღვდელს და გამძლეობითაც ბევრს აძლებინებს.

ან ვინ არ იცის, რომ სოფლის მოძღვარი თავისის ზნეობრივის სისპეტაკით უფრო ბევრს იმოქმედებს თავისს მრევლზე, ვიდრე მეცნიერებით; ჩვენის აზრით, მამული და შრომა არაფერს ხელს შეუშლის სამღვდელოებას, თუ ოღონდ კი იმდენი დრო და მოცალეობა ჰქონდეს, რომ ყოველისავე სამღვდელო წესისა და რიგის შესრულება შეეძლოსო, ამბობს „Нов. Время.“

მამული მიწა ქონებრივადაც დიდს შეღავათს აძლევს სამღვდელოებას და ზნეობრივადაც, მიწა, არამც თუ არ უნდა წაერთვათ, პირ-იქით, კარგს იზამდნენ, მოუმატონ კიდეც, იმ პირობით-კი, რომ სამღვდელო წეს-რიგის პირ-ნათლად შესრულება დაავალონ და წინააღმდეგს შემთხვევაში მიწის ჩამორთმევით დაემუქრნენ.

ბოლოს წერილი ამბობს, რომ თუმცა მართალია, ზოგიერთს ალაგას მრევლს მძიმე ულღად მიაჩნია სამღვდელოების სასარგებლოდ

---

თანამგზავრებს — გირსელ ფარსალელს და მედია ლარისელს, ამ არმენოსიდამ ამ ქვეყანამ მიიღო თავისი სახელი. მაშასადამე სომხების სამეფოს დაარსებას სტრაბონი, რომელიც სცხოვრობდა ქრისტეს დაბადების ჟამს, მიაწერს ალექსანდრე მაკედონელის დროს, ე. ი. მე-IV საუკ. ქრ. წინად. სტრაბონს ემხრობა იუსტინი, რომელიც ამბობს, რომ არმენი თესალიელი იყო და ამასთანავე იაზონის თანა-მხედარი. ამ არმენმა მეფე აზონის შემდეგ მაწანწალად დარჩენილი ხალხი შეჰკრიბა და დაასახლა არმენიაშიო.

ეს არამი, რომელიც, ვითომ, მტკვრის ხეობის მმართველად დასმულ იქმნა, ეს მეფე აზონი ანუ იაზონი ევეი არ არის, იგივე ჩვენი მატიანის აზოა. იმიტომ რომ ლეგენდარული იაზონი, რომელიც მეფე-კი არა, უბრალო მხედარი იყო, კოლხიდაში შემოვიდა ოქროს მატყლოვან ვერძის გასატაცებლად და სცხოვრობდა მე-X—XI ს. ქრ. წინ, ხოლო ეს მეფე იაზონი-კი მოქმედობს მე IV საუკუნეში, სწორედ იმ დროს, როდესაც აზო არიან ქართლიდამ აწინდელ ქართლს შემოვიდა და მცხეთა დაიპყრო.

სხვა ადგილას იგივ სტრაბონი ამბობს, რომ „სომხეთი წინად მცირე კუთხე იყოვო, ხოლო განივრცო არტაქსიასა და ზარიადრის ჟამს. ესენი ანტიოქოზ დიდის სპასალარები იყვნენ და ანტიოქოზი ხომ დამარცხდა, გამეფდნენო. გამეფების შემდეგ მიდიელებს წაართვეს კასპიანი, ფაუნიტე და ბასარაპედი, ხოლო ივერიელებს ფარიადრისის მთის ყური, ხორსენა, გოგარენა, ხალიბებსა და მოსინეკებს კარენითი და ქსერქსენე, კათაონებს — აკილისენე და ანტიტავრი, სირებს — ტამონიტისი, და ესლა ამ ქვეყნის (ე. ი. სომხეთის) ყველა ხალხი ერთს ენაზე ლაპარაკობსო. ამ მეფეების შემდეგ ტიგრანმა გააერთიანა სომხეთიო, მაგრამ მის შემდეგ მალე დროში სომხეთი დაიპყრეს რომაელებმა და დღესაც ამავე მდგომარეობაში ვხედავთ ამ ქვეყანასო, ამბობს სტრაბონი. სომხებმა და მიდიელებმა სპარსებრივი კერპთ მსახურება მიიღესო. განთქმული იყო ანაიტას ტაძარიო. ამ ტაძარს ემსახურებოდნენ ორთავე სქესის წარმომადგენელნიო, არა თუ დაბალის წოდებისანიო, არამედ წარჩინებულ გვარისანიც ანაიტას ამსახურებენ თავიანთ ქალწულებსაო. ამ ქვეყნის სჯულის მიხედვით აქაური ქალი მხოლოდ მაშინ ეღირსებოდა გათხოვებას, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში გარყვნილობით იცხოვრებდა ამ ანაიტას ტაძარში მამა-კაცებთან ერთადო[2]) და სხ.

[2]) ეს ამბები ჩართულია მ. ქორენელის ისტორიის დამატებაში (ემინის გამოცემა).

შემდეგ ზემორე ჩამოთვლილ ამბებისა, ცხადია, რისთვისაც სომხები თავის თავს არას დროს არ უწოდებენ „არმენად“ (ემინი ამას ამბობს) და არც თავის ქვეყანას არმენიად, არამედ ჰაის და ჰაისტანს. აგრეთვე ცხადია ისიც, რომ ჰაოსიანთა ისტორიკოსები ალბანიას, გარდაბანს, გუგარკს და ისპირ-ტაოს შეცდომით სთვლიან ჰაისტანის ნაწილებად; ეს ქვეყნები ჰაისტანისა-კი არა, ძველი არმენიის ნაწილებად ითვლებოდა. და არმენია, როგორც ამბობს ლენორმანი, დასახლებული იყო არა ჰაოსიანებით, არამედ ქართველებით. რომ მართლაც ეს უკანასკნელი ქვეყნები თვით ქრისტიანობის დროსაც ქართველის ერით ყოფილა დასახლებულ-დამკვიდრებული, ესა სჩანს მით, რომ ადგილობრივნი გეოგრაფიულნი სახელნი ქართულებია; და არა თუ მარტო გეოგრაფიული სახელები, არამედ, როგორც მოწმობს დიმ. ბაქრაძე, თვით იმ ადგილებას ტაძარნი და ძველნი ძეგლნი ქართულის ზედ-წარწერით გვხვდებიან და დღესაც ბინადარი ერის უმეტესობა ქართულს ენაზე ლაპარაკობს. ჩვენის აზრით, რაკი ქართველთა „კელმწიფობა არმენიაში“ მოიშალა და არმენიის ბადლად „არმაზი გაკელმწიფდა“, ჰაოსიანთა „ხარკს“ მოსახლე მოდგმამ მას შემდეგ შეიერთა არმენიაში უპატრონოდ დარჩენილი ქართველთა ერის ნაშთი და „სამარიტელთა მაგვარად“ შეელია მას და შეილია იგი. ეს აზრი თანახმაა სტრაბონისა და სხ. მწერალთა ზემორე მოლებულ თქმისა, რომ სომხეთი წინად მცირე პროვინცია იყოვო და შემდეგში განივრცო დაპყრობით იბერიისა, ხალიბებისა და სხვათა პროვინციებისაო; და აგრეთვე სტრაბონისავე თქმისა, რომ სომხეთში წინად რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდნენ და ჩვენ დროს-კი ყველანი ერთს (სომხურს) ენაზე საუბრობენო; და რადგან ჰაოსიანი, როგორც ერი, ქართველთაგან შელეულ-დასტამბული ძველ არმენთა (იგულისხმე ქართველთა) მემკვიდრედ შეიქმნა არარატ-მასისის მიდამოში, ამიტომაც ამ ჰაოსიანთა ისტორიკოსებმა ყოველნი ძველნი გარდმოცემანი არმენთა და მათი ისტორიაცა და პროვინციებიც ახალს ჰაისტანს მიაჩემეს და მიაწერეს. მხოლოდ ისტორიულ ფაქტების ამ გვარ არევ დარევისაგანა და სომეხთა ისტორიკოსთ გაუგებრობისაგან აიხსნება ის ამბავი, რომ იგინი, თუმცა „ჰაისტანს“ არასდროს „არმენიად“ არ უწოდებენ, მაგიერად „არმენიის“ ყველა ძველ პროვინციებს ჰაისტანის ნაწილებად ჰხადიან. ამ გვარი ნაწილებია, მაგ. კაბადოკია, ტაო, გუგარქი, გარდაბანი და არა თუ ესნაწილები მარტო, არამედ მთელი საქართველოც, რადგან იგივე სომეხთა ისტორიკოსები მტკვარსა, ჭოროხსა, ლლიხსა ჰაისტანის მდინარეებად სთვლიან (მოსე ქორენელის ისტორია, გვერდი 335—337). ვამბობ ყველა ეს მდინარეები და ყველა ეს პროვინციები ჰაისტანისა-კი არა, არამედ არმენიისა იყო, იმ არმენიისა, რომელთანაც ჰაოსებს არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ, ვიდრე იგინი სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზების გამო არ შეიქმნებოდნენ მემკვიდრედ არარატ-მასისისა, რომლის მიჯნებსაც მას შემდეგ ამ ერის უფლება არ გასცილებია.

ყოველივე ეს თანახმაა ქართლის ცხოვრების გადმოცემისაც, რომელიც ამბობს, რომ ქართველთ ექვსასი წელი დაჰყვეს არარატ-მასისსაო და შემდეგ დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ და საუკუნოდ დამკვიდრდნენ კავკასიაშიაო. თუ მართლაც ჩვენი მატიანე ამ ექვსასის წლის აღნიშვნაში არა სცდება, და აგრეთვე თუ მართალია ლენორმანის თქმა, რომ ქართველნი არარატ-მასისიდამ ჩრდილოეთისკენ გადმოსახლდნენ მე-VII—V საუკუნეებში ქრ. წინადაო, ვიმეორებთ, თუ ეს ქრონიკონი მართალია, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი გვარტომის დასაწყისი უწევს 13 - 11 საუკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულის გადახდა და თვით მღვდლებიც ისე ხშირად ვეღარ ჰდიან მრევლში, ერიდებიან თავის მობეზრებას, მაგრამ მეორეს მხრით სამღვდელო წეს-რიგისათვის ფულის გადახდა ისე აქვს ჩვეულებად გამხდარი მრევლს, რომ ამ ჩვეულების მოსპობა არც საჭიროა და არც ადვილად შესაძლებელიო.

◆◆

## წვრილი ამბები

ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო ცნობებია დაბეჭდილი გაზეთ „Neue Zuricher Zeitnug“-ში ჟურნალ-გაზეთების წარმატების შესახებ ამერიკაში. მაშინ, როდესაც ინგლისში მხოლოდ 6,000 ჟურნალ-გაზეთი გამოდის, გერმანიაში, 5,500, საფრანგეთში 5,000, იაპონიაში 2,000, იტალიაში 1,400, ავსტრიაში 1,200, რუსეთსა და ისპანიაში რვაას-რვაასი, შვეიცარიაში—450; ბელგიასა და ჰოლლანდიაში სამას-სამასი,—ამერიკაში მარტო შეერთებულს შტატებს 17,000 ჟურნალ გაზეთი აქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ინგლისელთა სამფლობელოებში 320 მილიონი მცხოვრებია, რუსეთში 100 მილ., საფრანგეთში—64 მილ., გერმანიაში—46 მილ., და ავსტრიაში 39 მილიონი, მაშინ უფრო დიდად გვეჩვენება 17,000 ჟურნალ-გაზეთი შეერთებულ შტატების 65 მილიონს მცხოვრებზე. მიუხედავად ჟურნალ-გაზეთების სიმრავლისა თვითოეული გაზეთი ისე ბლომად არსად არა სცდება, როგორც ამერიკაში: ნიუიორკის გაზეთ „The Word“-ისა, მაგალითად, 1889 წელს 100 მილიონი ცალი გასაღდა. თითქმის ამდენამდენივე ცალი გასაღდა ნიუიორკის ბევრის სხვა გაზეთისა და მათ შორის გაზეთ „Neve York“-ისაც. ასეთი გავრცელება ამერიკულ გაზეთებისა მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ რამდენიმეს გარდა სხვა გაზეთები დღეში ერთხელ გამოდის. ამ შემთხვევაში გაზეთების გამომცემლებს დიდს შემწეობას აძლევს განცხადებებიდგან შემოსული ფული. კვირაობით 12—20 გვერდი გადაჭრელებულია ხოლმე სხვა და სხვა განცხადებით. რედაქტორ-გამომცემლებიც არ ერიდებიან ხარჯს, მრავალ ადგილასა ჰყავთ თავიანთი აგენტები და დიდძალი კორესპონდენცია დღეში მოსდით. მკითხველს მრავალ გვარი ცნობა შეუძლიან ამოიკითხოს გაზეთიდგან. ამას გარდა სხვა საქმეებითაც იგებენ რედაქტორები საზოგადოების გულსა: გამოჩენილ და სახელოვან რედაქტორად ის ითვლება, რომელსაც მეტი შეუწირავს რომელსამე საქველ-მოქმედო საქმისა და დაწესებულებისათვის. მკითხველები და საზოგადოება ერთი და იგივეა, რადგან არც ერთის წოდებისა და ხელობის კაცი არ მოიპოვება, რომ გაზეთს არა კითხულობდეს. ამერიკელებს შრომა უყვართ, მთელი სიცოცხლე შრომაში ელევათ და გაზეთის კითხვაც ამ შრომის ნაწილია და არა დასვენება და გართობა. ცხენის რკინის გზის ვაგონებში რომ შეიხედოთ, ერთს კაცს ვერ დაინახავთ, რომ გაზეთი არ ეჭიროს ხელში და არა კითხულობდეს. თითოეულს მათგანს იმოდენა გაზეთი აუფარებია წინ, თითქოს ქვეშაგების ჩარსაოსა. ერთის სიტყვით გაზეთის კითხვა ამერიკელისათვის აუცილებელი საჭიროებაა, ამის გამო იმათთვის, ვისაც შეძლება არა აქვს ბევრი სხვა-და სხვა გაზეთი გამოიწეროს, დაარსებულია ნიუიორკში სამკითხველოები. სამკითხველოს პატრონებმა წინადვე იციან, რომელი ხელის მომწერი რა საგნის შესახებ ჰსაჭიროებს ცნობებსა და სწორედ იმ გვარს წერილებს ამოსჭრიან ხოლმე გაზეთებიდგან და სახლში უგზავნიან, ან კიდევ შიგ სამკითხველოში აძლევენ წასაკითხად. ერთს ამ გვარს სამკითხველოს 7,000 გაზეთი აქვს გამოწერილი და 10,000 ამონაჭერს თავისს ხელის-მომწერლებს უგზავნის. ყოველს სამკითხველოს განყოფილებები აქვს: ლიტერატურისა, პოლიტიკისა, ხელოვნებისა, ეკონომიისა, ავაზაკობა ნა და სხვ. პალატის დეპუტატები, ვექილები, ლიტერატორები, არტისტები და სხვა ხელობის კაცნი—ყველანი უფრო თავთავიანთ ხელობის შესახებ კითხულობენ და ცნობებს ეძებენ. რომელს მკითხველსაც თავის ვინაობა უნდა დამალოს, იგი მხოლოდ ასე ჩაეწერება, ამა-და-ამ ნომერს გაუგზავნოს ამ გვარი ამონაჭრები გაზეთისაო. ასე იქცევიან მომეტებულად ავაზაკები. თვითონ დამალულნი არიან და გაზეთი-კი მისდით და კითხულობენ ამბავს თავის თავის შესახებ. სამკითხველოს პატრონები, თუ ვინმე გამოჩენილი კაცი ან გარდაიცვალა, ან დაბადების დღესა დღესასწაულობს, არშიებით შემკულს გაზეთებს მიართმევენ ხოლმე, სადაც იმათი საქმენი და მოღვაწეობაა აწერილი. ხანდახან ამ გვარს სიტყვებსაც აწერენ ზემოდგან: „ამერიკის მწერლობის აზრი ამა-და-ამ მოღვაწეზე“. გარდაცვალებულთა მემკვიდრენი და დაბადების დღის მოდღესასწაულენი დიდად დაასაჩუქრებენ ხოლმე სამკითხველოს პატრონებს ამის გულისთვის.

◆◆

## წერილები რედაქციის მიმართ

იქნება გაგიკვირდეთ, რომ ამ მოხუცებულობის დროს ავმდგარვარ და მწერლობაში ფეხსა ვდგამ. ნათქვამია: „სამოცის წლის კაცმა ჩონგურის სწავლა რომ დაიწყოს, საიქიოს გამოადგებაო.“ აბა რაღა დროს ჩემი ასაკის ასპარეზზედ გამოსვლა არის, მაგრამ მე დღეს თუ ხელში კალამი ავიღე, ამითი უფრო ძველს ჩვეულებას ვასრულებ, ვიდრე ახალს კვალს ვადგევარ. ჩვენში ძველად ჩვეულებად იყო, რომ ყოველს ქალაქში და სოფელში შეიკრიბებოდნენ რომელსამე არჩეულს ადგილას მოხუცებულნი კაცნი და დაიწყებდნენ ქვეყნის საქმეებზედ ბაასსა და სჯასა; ამ სჯაში ისინი ხელმძღვანელობდნენ თავიანთის ნახულით და გამოცდილებით და მით ემსახურებოდნენ საერთო საქმეს. ეხლანდელის დროების მაგიერ ამორჩეულ ადგილად გაზეთი გახდა და ამიტომ მივმართავ მეც „ივერიას“.

ვისაც კი ჩვენის ცხოვრებისთვის თვალყური უდევნებია და აუწონ-დაუწონია თავად-აზნაურობის მდგომარეობა, ბევრი რამ სათქმელი აქვს. ბევრს ჰგონია, რომ თავად-აზნაურობა მარტო ისინი არიან, ვინც ადებულის ვალებით და მამულების გაყიდვით ქალაქში ჩადიან და ეძლევიან იქ განუწყვეტელს მხიარულობასა, მაგრამ ვისაც ამათი ნამდვილი ყოფა-ცხოვრების გაგება უნდა, აქ ამობრძანდნენ სოფლებში და აქ შეისწავლონ, ვინ არის თავად-აზნაურობა. კაცს გული უკვდება, რომ ჰხედავს ყოვლის მხრით შეწუხებულს ილაჯ-გაწყვეტილსა და იმედ დაკარგულს ოჯახებს; მათი რიცხვი ძალიან დიდია. მაგ ოჯახებმა დაჰბადა მრავალი ახალგაზრდა უსწავლელი, უხასიათო, რომელნიც ატარებენ დროს უზნეოდ და უგუნურად. ეს უბედურნი ბავშობიდგანვე დარჩენილან უპატრონოდ, ბევრნი ტიტველ-შიშველნი, ხშირად მოკლებულნი ლუკმა პურსაც; იქნება ეღირსნენ სახრავლოსი შკოლას და რა არსაიდგან ეძლეოდათ შემწეობა, დარჩნენ მოუმზადებელნი და კეთილ მუშაკად გახდომას ვერ ეღირსათ. დიდი გაძლება უნდა, რომ ჩვენმა სამშობლომ გაუძლოს ამოდენა უსაქმურს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ცუდად მომჭმელ ხალხსა. მაგათ კიდევ რომ გაუძლოს, სხვა, სულ ახალ-ახალი რაზმი ჩნდება ისევ იმისთანავე უქმის ახალგაზრდობისა და ქვეყანამ რამდენს ერთს გაუძლოს. ვიფიქროთ რამე და ამ ახლებს მაინც ნუღარ ვღუპავთ და ისედაც შევიწროებულს ჩვენს ცხოვრებას ნუღარ ვიმძიმებთ. სიამოვნებით ევსება კაცს გული, როცა ჰხედავს უცხოეთში როგორ იქცევიან ამ ნაირს შემთხვევაში. თუნდა ავიღოთ ჩვენი მეზობელი სომხები; იმათ, არამც თუ დაასარსეს საზოგადოებანი ღარიბთა საშველად, კერძო კაცნიც-კი არას იშურებენ, რომ ღარიბნი და ღატაკნი როგორმე კაცად გამოიყვანონ. მათის მეცადინეობით ღარიბ ოჯახებიდგან მრავალნი გამოსულან კარგი ინჟინრები, ექიმები და სხვა კეთილი სახელოვანი მშრომელნი. სომხთაგანი იშვიათად მოკვდება ისეთი, რომ უკანასკნელს დროს რაიმე საქველ-მოქმედო საქმეს არა უანდერძოს-რა. ზოგიერთებს ჩვენშიაც ფიქრად აქვთ ხოლმე სიკვდილის ჟამს ანდერძით უწყალობონ რამე ღარიბთა, ეგ ძალიან კარგია, გვიან იყვეს და ოდესმე-კი, მაგრამ სამწუხაროდ, ან უეცარი სიკვდილი შემთხვათ, ან ანდერძის წერილი დაიკარგა, მაშინ ხომ დაიღუპა საქველ-მოქმედო საქმე. რა ენაღვლებათ იმ დალოცვილებს თავიანთ სიცოცხლის დროსვე მოიდონ ის მოწყალება, რაც ბოლოს სწადიანთ და თავიანთის თვალითვე ჰნახონ ის კეთილი საქმე, რასაც წარმოსდგენა მათის შემწეობით. განა თვალ წინ არა გვაქვს მაგალითები, რამდენი შეძლებული ქართველი კაცი გამოესალმებია ისე წუთისოფელს, რომ შეუძლებელთა აღზრდისათვის არაფერი არა დაუტოვებია რა და არა უანდერძებია-რა. დღეს იმათი შთამომავალიც გაწყალებულია და გაღარიბებული, თუმცა ოდესმე მათი ოჯახი სდუღდა და გადმოდიოდა ყოველის სიკეთითა და დიდის დოვლათით. განა ის არ ემჯობინებოდა, რომ იმ შეძლების ცოტაოდენის ნაწილით რამდენიმე სასარგებლო მამულიშვილი გაზრდილიყო? იქნება ამ გაზრდილთ მოეხერხებინათ დღეს ხელი შემწეობისა გაეწვდინათ თავიანთ მოწყალე კაცის გაღარიბებულ შთამომავლობისათვის და აღედგინათ დაცემულნი და დაუძლურებულნი. ჩვენდა სანუგეშოდ და სწავლის მსურველ ღარიბ ყმაწვილების საბედნიეროდ აქა-იქ ხმა დადის, ვითომ რამდენსამე შეძლებულს ქართველს კაცს ქართლ-კახეთსა და იმერეთში განზრახვა აქვთ ისეთივე სკოლები დააარსონ, როგორიც ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილმა გაჰმართა, მაგრამ დრო გადის, გაუნათლებელთა რიცხვი მატულობს და გამწარებულთ მშობელთ იმედი ეკარგებათ, რომ მათ შვილებს ბედი მიეცეთ საიდგანმე. მართალია, საზოგადოდ ქართველნი მდიდარნი არავინ არიან, მაგრამ ვინცკი არიან, ისინიც ყურს არ გვიგდებენო, გაიძახიან სოფლებში ღარიბი თავად-აზნაურნი. მდიდარნი თავიანთ შვილებს, ღმერთმა მისცეთ, კარგად ზრდიანო და ჩვენ ღატაკნი, ჩამომავლობით მათი ერთ ტომნი ამ უბედურებაში ვრჩებითო. თუ დიდ სასწავლებლის გამართვას ვერ მოახერხებენ, ნუ თუ ჩვენის ქვეყნის ყველა მაზრებში არ შეუძლიანთ თითო-თითო იმ ნაირი სკოლა მაინც დაჰმართონ, როგორიც გაჰმართა კეთილმა და პატივცემულმა ილია წინამძღვარიშვილმა. ხომ ასობით მოიპოვება ქართლსა, კახეთსა, სომხეთში და იმერეთში

---

ქრ. წინად. და სწორედ ამ დროის ცოტა წინ-უკან ფინიკიისა, ასურეთისა და სხვათა ქვეყ ძეგლების წარწერებზე გვხდება წოდება კოლხისა, მოსხისა და ხალიბებისა, რომელნიც ფრიად მეომარი ერი იყო და რომელიც განთქმულნი იყვნენ თავის ოქრო-ვერცხლით, სპილენძით, ფოლადით და ჭურჭლეულით. ამავე დროს წარწერებში გვხდება კოლხის მთავრის სახელი „დადილი“, რომელიც, როგორც შემდეგშიაც ვიტყვით და დავამტკიცებთ, მართლაც მთავრის სახელი-კი არ ყოფილა, არამედ „დადიანისა“ დადიანობისა გამო.

ახლა ვიკითხოთ: რას მოასწავებს მატიანეს სიტყვა: „ზოჲ იყო ძე არან ქართლის მეფისაჲ“. აქედგან ორ ნაირი აზრი გამოდის: ა) აზო არანის შვილი იყო, თუ ბ) იმ მეფის შვილი, რომელიც მაშინ „არან ქართლს“ მეფობდა. მე ეს უკანასკნელი აზრი უფრო მართალი მგონია. არანი რომ აზოს მამა ყოფილიყო, მატიანე იტყოდა: „აზოჲ ძეჲ არანისა, ქართლისა მეფისაჲ“. ხოლო მატიანე ამის მაგიერ ამბობს: „აზოჲ ძეჲ არან-ქართლის მეფისაჲ“. რომ ეს ასრე ყოფილა, სჩანს იქიდამაც, რომ მატიანე, ცოტა ქვემოთ, ამბობს, მცხეთიდამ „აზოჲ წარვიდა არან-ქართლად, მამისა თვისისა“... თუ ეს ესრე არ ყოფილიყო, მატიანე იტყოდა: „აზოჲ წარვიდა მამისა თვისისა არანისასა, ქართლად“.

ახლა ვნახოთ თუ არანის მოსახლე ქართლნი არარატის მხრიდამ საითკენ გადმოსახლებულან და პირველად სად მოუკიდნიათ ფეხი. არანი ანუ რანი, ეჭვი არ არის, საქართველოს აღმოსავლეთი მხარეა, ბერდუჯის მდინარის იქით კასპიის ზღვამდე მტკვარსა და რახს შორის. არანის დასავლით იყო ადარბადაგანი და ჩრდილოეთით კავკასიონის მთამდე და დღევანდელ ნუხიდგან კასპიის ზღვამდე მოვაკანი ანუ მოვაკნეთი. მე-4-მე-5 საუკუნეში ქრ. შემდეგ ეს სამივე კუთხე უკვე იყო შეერთებული და მას განაგებდა სპარსეთის ხელმწიფის მოხელე ერისთავი. ქართლის-ცხოვრების თქმით ეს ერისთავი მოვაკნისა, რანისა და ადარბადაგანის ჯარით შემოებრძოლა არჩილ მეფეს (410—434), მაგრამ ბერდუჯის მდინარეზე საშინლად დამარცხდა და მეფემ დაიპყრო ეს ქვეყნები და დაცვა ამ ქვეყნებში მიანდო თავის შვილს მირდატს. ამ მირდატმა შეირთო რან-მოვაკან-ადარბადაგანის ერისთავის ბარზაბოდის ასული საგდუხტ, დედა ვახტანგ გორგასლანისა. მიუხედავად ამისა რანის საერისთაო, თან-და-თან, ძლიერდება და სპარსეთ ხ დახმარებით საშიშარი ხდება საქართველოსთვის ვიდრე საქართველოს დიდთა კელმწიფეებამდე (X—XI საუკ.). ძველნი მწერალნი ყველანი ამბობენ, რომ არეზს ჩრდილოთ კავკასიონამდე მოსახლეობდნენ იბერნი და ქართლის ცხოვრება ხომ რანთა და მოვაკნელთ ქართველებად ჰხადის ქართლოსის დროიდგან. ამ გვარ საბუთების შემდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ: უძლიერეს ხალხების (ასურელთა, მიდიელთა და სპარსთა) მეფეებმა რომ ქართველებს უწინდელი დედა-ბუდე (მეტროპოლია) მოუშალეს და გამოდევნეს, მაშინ იგინი (რასაკვირველია მხოლოდ ეს დედა-ბუდეს, მეტროპოლიის ერი), როგორც ქართლის ცხოვრებაც ამბობს, წამოვიდნენ ჩრდილოდ და დაიპყრეს რანი ანუ არანი. ამ დროს მთელი საქართველო კაპადოკიიდგან მოკიდებული გურგანის ზღვამდე უნდა ყოფილიყო დაგლეჯილი და განაწილებული წვრილ-წვრილ სამთავროებად, და ეს სამთავრონი დედა-ბუდის მოშლის გამო საერთო კავშირს მოკლებულნი იქნებოდნენ. არანი, საითაც წამოსულა მეტროპოლიაში მცხოვრები მთავარი ერი ქართველთა, სადედა-ბუდო ადგილად არ გამოდგებოდა, რადგან ეს ქვეყანა ბუნებით მაგარი ადგილი არ არის, პირიქით ხშირს ზედ ხალხთა სავალ დარუბანდის გზაზედ. აი რის გამო, ძველი დროიდგანვე ნაციონალურ მისსიის მტვირთველი არანს გადმოსახლებული მთავარი ერი, აზონის შემწეობით, იპყრობს უფრო შეუვალ და მაგარ მცხეთას და აწესებს მას დედა ქალაქად, საიდამაც აზოს შემდეგ მეფეთა კელმწიფობა [3]) ვრცელდება მთელს საქართველოზედ ტრაპიზონიდგან გურგანის ზღვამდე.

აი სწორედ ამ დროს შეეფერება ის ამბავი, რომ ერთი მატიანე აზოს ჰხადის პირველ მეფედ და მეორე ფარნავაზს, ხოლო ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ აქ არც ერთი მატიანე სცდება და არც მეორე. აზომ მცხეთაში ჩასდვა საძირკველი კელმწიფობისა, ანუ ვსთქვათ, საიმპერიო უფლებისა, და ფარნავაზმა ეს დიდებული საქმე განავრცელა და მცხეთით თვისი კელმწიფობა დასდო მთელს საქართველოს ტრაპიზონიდგან გურგანის ზღვამდე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უწინდელ დედა-ბუდის მოშლის შემდეგ ქართველობაში სამისიო მისწრაფების აზრი აზომდისაც არ ყოფილა დახშული. ამ ნაციონალურ აზრის შესრულება, ე. ი. საქართველოს უკელმწიფოდ დაშთენილ ნაწილებისა და მეფეების შეკავშირება ერთის ძლიერის ხელ ქვეშ—პირველად მოუწადინებიათ დასავლეთის ქართველებს, პონტოს მეფეებსა. მიტრიდატებს უკვე ნახევრად განეხორციელებინათ ეს აზრი, მათი ხელმწიფობა უკვე იყო დამტკიცებული მთელს ლიხს იქითა მხარეს. კავკასიონ—კაპადოკიიდგან ყირიმის კუნძულის ჩრდილო მიჯნამდე მოსახლე ერი მიტრიდატების გვირგვინს ემორჩილებოდა. ეჭვი არ არის, იგინი ლიხს აქეთაც თვის ხელმწიფობას დაამკვიდრებდნენ, თუ ცოტა კიდე დასცალდებოდათ. სამწუხაროდ, მიტრიდატთა აუარებელ ძლიერებას რომაელთა და სპარსელთ მზაკვრობამ ბოლო მოუღო. აი სწორედ ამ დროს აღმოსავლეთს საქართველოში, ვითარცა დილის მზის სხივი, აღმობრწყინდება ეს სამისიო აზრი, რომელიც ჯერ აზოსა და მერმე ფარნავაზის მოთაოსნობით იმარჯვებს და საქართველოს მოშლილ ნაწილებს ხელ-ახლა ეძგმის საუკუნეთა შინა საბრუნავი ზრო—ლეძი მცხეთით, ტყუილად-კი არ ამბობს მატიანე, რომ ამ დროიდგან „არმაზმა დაიწყო თავადობაო“.

ესომ.

[3]) ჩვენი სიტყვა კელმწიფე უჩრის ევროპიულს „იმპერატორს“, ხოლო „მეფე“ „კაროლს“. ერთს სახელმწიფოში მეფეები შეძლება იყოს რამდენიმე, ხოლო კელმწიფე-კი ერთად-ერთი. კელმწიფის მაგიერ ჩვენში შემდეგ შემოიღეს წოდება „მეფეთ-მეფისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზედ ბევრად მდიდარნიო.—სხვა არა იყოს-რა, ამ ნაირს სკოლებში შრომას და ზრდილობას ისწავლიან ჩვენი შვილებიო და აგრეთვე მამულის რიგიანად მოვლასაო და ისევ იმ მდიდარ მამულების პატრონებს გამოადგებიან თავიანთის შრომითა და მით ქვეყანაც ასცდება იმ ზარალს, რომელსაც ჰბადავს სიღარიბე, უზრდელობა და უქმად ყოფნაო. მრავალი ღარიბი თავად-აზნაური ამბობს, ოღონდ მოწინავე ბედნიერმა თავად-აზნაურობამ ითავოს სკოლებისთვის ფულის შეგროვება და ჩვენც, ღარიბნი, უკანასკნელს პერანგს გავიყიდით და შეეწევას მივცემთ, რა კი ამით დავიხსნით ჩვენს შვილებს აგ-კაცობისა და ათას სხვა უბედურებისგანაო. მართალიც არის, არას დაიშურებენ, ოღონდ კი ეშველოთ რამე, არას დაიშურებენ, იმიტომ რომ თავიანთი უბედობის მიზეზად გონებისა და ზნეობის გაუკეთარებას სთვლიან. მოვალე არის ახალი, ნასწავლი თაობა ყური ათხოვოს ამ სოფლიდგან გამოსულს ძახილს, მოისმაროს ღონის-ძიება, რომ საქმეს უშველოს რამე.

ეხლა ასპარეზი ახალის თაობისაა, იმას მოეკითხება პასუხი ქვეყნის წინაშე, ძველი-კი, ვინც ყოფილან, მათ თავიანთი კალო გაულეწიათ. დღე, ახალგაზდობამ გაასწოროს ის, რაც გაუფუჭებიათ ძველებს და დაამთავროს ის, რაც კეთილი დაუწყიათ.

გასაკეთებელი-კი ბევრი რამ არის; რამდენი კეთილი აზრი აღორძინებულა ჩვენში, მაგრამ ბოლო-კი არ გასტანებია.

ავიღოთ თუნდ მამულების გამო შემაწუხებელი დავი-დარაბები; წელიწადი ისე არ გავა, რომ სისხლი არ დაიღვაროს. ასე გასინჯეთ, მამულების დავის გამო უმანკო ყმაწვილებსაც-კი ყელს სჭრიან კრავსავით. ისედაც სიღარიბისგან შეწუხებული თავად-აზნაურობა, ქონებით, ადვოკატობისა და სხვა ხარჯის წოწყალებით მომეტებულად გაღარიბდა. ცეცხლის მოკიდება, ცემა, ტყვია, ლანძღვა-გინება, უმძრახობა, ცილის წამება, შური, კაი-კაცლახი ხომ უმრავლესია. რატომ არ გამოიდებს თავს ჩვენი დაწინაურებული ახალგაზდობა, რატომ არ ასრულებს ერთს ფრიად გონიერს რჩევას პატივცემულის გენერალ-ლეიტენანტის თავ. ივანე გივის ძე ამილახვრისას, რომელმაც ერთ-ერთ თავად-აზნაურობის ყრილობაზედ წინადადება შეიტანა: მამულების გამო დავიდარაბების გათავება მივანდოთ კეთილსაიმედო, ცოდნით განვითარებულ კაცთათვის, რომელთაც ჰქონოდათ საზოგადოებისგან ნება სინიდისით მოერიგებინათ მოდავენი და მით ჩამოეგდოთ მშვიდობა და სიყვარული. რატომ არ გვირჩევენ ჩვენი განათლებულნი, რომ ამ გვალს დავადგეთ და რატომ არ გვიმტკიცებენ იმის სარგებლობას?

ანუ კიდევ: რატომ არ ვამლევთ მხარს მის ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, რომელსაც დიდად მოუწადინებია ჩვენში დაარსოს სამრევლო სკოლები; რად ეგიდება ამ საქმეს ასე გულ-ცივად ჩვენი განათლებული ახალგაზრდობა, სამღვდელონი თუ საერონი? ერთის სიტყვით, სოფლად არავინ არის გამოსული და თავ გამოდებული, რომ ჩაავგონოს ყველას კარგი რამ და ითავოს კეთილი საქმე.

...რომ ამ ახალს წელს ...თაადგეს უფრო კარგს და ახალს მიმართულებას. ინებოს ზეციერმა, რომ მიეცეს ნუგეში იმ ღარიბ თავად-აზნაურთა, რომლის რიცხვი აუარებელია.

დურჩიშხან ჟურული

დ. ცხინვალი.

◆◆

დეპეშა

9 იანვარი

პეტერბურგი. სამკურნალო საბჭომ გარდასწყვიტა, აღკრძალულ „იქმნას აფთიაქებში გასყიდვა სპერმინის პრეპარატებისა, რადგან ეს საგანი ჯეროვანად გამორკვეული და შემუშავებული არ არის საქიმიო და საფარმაკოლოგიო მხრითაო.

პარიჟი. პალატამ ერთ-ხმად მიიღო კანონ-პროექტი 2 მილ. ფრანკის სესხის აღებისა ქალაქების იმ მცხოვრებთათვის საშემწეოდ, რომელნიც სიცივისაგან არიან შეწუხებულნი; ამ მოკლე ხანში პალატაში მეორე კანონ-პროექტსაც წარადგენენ სოფლების მცხოვრებთათვის შემწეობის მისაცემად სესხის აღებისას.

სამხრეთ საფრანგეთიდგან დეპეშები მოდის, დიდი სიცივეები დაიჭირაო. გარის დეპარტამენტში ზეთის ხილის მოსავლის მოცდენისა ეშინიანთ. ბოკერში გაყინულს რონაზე ცურაობენ; ტულონისა და ლიონის ნავთ-სადგურები გაყინულია. პერპინიანის მიდამოებში რამდენიმე კაცი გაიყინა და მოკვდა. ბევრს ადგილას მიმოსვლა ხალხისა შესწყდა; გემი „Afrique“ ალჟირიდგან ნავთ-სადგურს ვანდრში მთლად შემოყინული მოვიდა. ისპანიაშიაც კვლავ საშინელი გრიგალი და სიცივეებია; სარაგოსში 14 გრადუსი სიცივეა.

ბრიუსელი. მთავრობამ გადასწყვიტა დიდი ლონის ძიებანი იხმაროს უწესოებათა მოსასპობად, თუ ვინიცობაა პალატის წინ მოახდინეს, სადაც მანიფესტაციას აპირობენ საყოველთაო კენჭის ყრის შემოსაღებად. ამბობენ, ამის გამო მანიფესტაციის მოთავეებმა თავიანთი პროგრამა შესცვალეს და აღრეს, რომელთაც კონსტიტუციის გადასინჯვას ითხოვენ, პალატაში-კი არ მიიტანენ არამედ ქალაქის თვით-მმართველობას წარუდგენენო.

---

მომგები ბილეთები. 2 იანვარს მომხდარ პირველ შინაგან სესხის ბილეთების მე-52 ტირაჟში ხუთას მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2186 | 16 | 8781 | 34 | 10618 |
| 1 | 4209 | 16 | 10423 | 34 | 13690 |
| 1 | 9963 | 16 | 19426 | 35 | 1895 |
| 1 | 10754 | 17 | 3278 | 35 | 5904 |
| 1 | 16984 | 17 | 6779 | 35 | 7065 |
| 2 | 5056 | 17 | 13275 | 36 | 78 |
| 2 | 6005 | 17 | 16455 | 36 | 890 |
| 2 | 8825 | 18 | 2862 | 36 | 8638 |
| 2 | 12737 | 18 | 3153 | 36 | 15120 |
| 2 | 18343 | 18 | 9956 | 36 | 15953 |
| 2 | 19961 | 18 | 13527 | 37 | 16780 |
| 3 | 1545 | 19 | 39 | 37 | 19483 |
| 3 | 3137 | 19 | 484 | 38 | 5004 |
| 3 | 5952 | 19 | 3203 | 38 | 5170 |
| 3 | 10401 | 19 | 4496 | 38 | 11721 |
| 3 | 11400 | 19 | 11530 | 38 | 11813 |
| 3 | 14113 | 19 | 16474 | 38 | 12025 |
| 3 | 19968 | 19 | 17034 | 38 | 14439 |
| 4 | 4629 | 20 | 3445 | 38 | 14740 |
| 4 | 7015 | 20 | 9505 | 38 | 15041 |
| 4 | 10455 | 20 | 16967 | 38 | 15652 |
| 4 | 12610 | 20 | 18354 | 38 | 16169 |
| 4 | 17463 | 21 | 74 | 38 | 17882 |
| 5 | 4446 | 21 | 1543 | 38 | 19997 |
| 5 | 6784 | 21 | 1628 | 39 | 832 |
| 5 | 10612 | 21 | 5713 | 39 | 4304 |
| 5 | 14020 | 21 | 9386 | 39 | 4450 |
| 5 | 15169 | 21 | 10965 | 39 | 14153 |
| 5 | 15202 | 21 | 11413 | 39 | 15060 |
| 5 | 17591 | 21 | 11906 | 39 | 18874 |
| 5 | 18019 | 22 | 12357 | 40 | 2200 |
| 6 | 2881 | 22 | 14809 | 40 | 16088 |
| 6 | 7498 | 22 | 17719 | 41 | 5534 |
| 6 | 8615 | 22 | 18534 | 41 | 5783 |
| 6 | 12750 | 23 | 6054 | 41 | 7523 |
| 6 | 14441 | 23 | 8488 | 41 | 15501 |
| 6 | 15169 | 23 | 9120 | 41 | 19047 |
| 6 | 15655 | 23 | 15140 | 42 | 1712 |
| 6 | 17853 | 23 | 15405 | 42 | 3056 |
| 7 | 3384 | 23 | 18128 | 42 | 6738 |
| 7 | 3795 | 23 | 18184 | 42 | 14829 |
| 7 | 7245 | 24 | 4639 | 43 | 14883 |
| 7 | 9126 | 25 | 1266 | 43 | 18303 |
| 7 | 13835 | 25 | 9544 | 44 | 760 |
| 7 | 18304 | 25 | 10668 | 44 | 2583 |
| 8 | 551 | 25 | 12655 | 44 | 5855 |
| 8 | 5348 | 25 | 18512 | 44 | 6725 |
| 8 | 6271 | 26 | 3016 | 44 | 10751 |
| 8 | 8561 | 26 | 3424 | 44 | 12272 |
| 8 | 9838 | 26 | 3891 | 44 | 14160 |
| 8 | 10062 | 26 | 11334 | 44 | 15097 |
| 8 | 10791 | 26 | 11961 | 45 | 1993 |
| 8 | 12484 | 27 | 7830 | 45 | 7940 |
| 8 | 12917 | 27 | 8161 | 45 | 17064 |
| 8 | 18553 | 27 | 9005 | 46 | 1486 |
| 9 | 719 | 27 | 10260 | 46 | 5273 |
| 9 | 7085 | 27 | 12102 | 46 | 6439 |
| 9 | 7237 | 27 | 18838 | 46 | 11309 |
| 9 | 11039 | 28 | 2227 | 46 | 17989 |
| 10 | 4629 | 28 | 5190 | 47 | 10100 |
| 10 | 5829 | 28 | 7512 | 47 | 13347 |
| 10 | 7000 | 28 | 7830 | 47 | 14368 |
| 10 | 13729 | 28 | 11266 | 47 | 18165 |
| 10 | 17363 | 29 | 912 | 47 | 19826 |
| 11 | 6322 | 29 | 6179 | 48 | 55 |
| 11 | 6959 | 29 | 8363 | 48 | 97 |
| 11 | 8457 | 29 | 14656 | 48 | 3719 |
| 11 | 15607 | 30 | 7900 | 48 | 4361 |
| 11 | 17141 | 30 | 8301 | 48 | 5012 |
| 12 | 12613 | 30 | 8483 | 48 | 9399 |
| 12 | 12655 | 30 | 13543 | 48 | 9659 |
| 12 | 14629 | 30 | 13581 | 48 | 13354 |
| 12 | 18759 | 30 | 13615 | 48 | 14319 |
| 13 | 11665 | 30 | 17846 | 48 | 14580 |
| 13 | 13693 | 31 | 2343 | 49 | 3357 |
| 14 | 2943 | 31 | 9903 | 49 | 7400 |
| 14 | 3146 | 31 | 11919 | 49 | 7503 |
| 14 | 12134 | 31 | 15312 | 49 | 9647 |
| 14 | 14472 | 32 | 3294 | 49 | 10975 |
| 14 | 15892 | 32 | 3825 | 49 | 12106 |
| 15 | 733 | 32 | 9221 | 49 | 16373 |
| 15 | 4082 | 32 | 9609 | 50 | 1091 |
| 15 | 9699 | 32 | 13518 | 50 | 3288 |
| 15 | 15707 | 32 | 14780 | 50 | 4230 |
| 16 | 963 | 33 | 2858 | 50 | 7004 |
| 16 | 6366 | 33 | 16966 | 50 | 8026 |
| 16 | 6526 | 33 | 17610 | | |

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ:

8,338, 5,383, 7,113, 7,549, 17,595, 9,077, 9,676, 10,198, 12,737, 1,045, 4,325, 2,494, 13,179, 11,300, 13,151, 1.479, 14,576, 16,018, 19,778, 7,942, 18,105, 12,348, 194, 7,294. 19595, 9,611, 3,929, 15.134, 5,261, 3.508, 17,449, 5,963, 7,971, 15088, 17,249, 12,934, 11,113, 18,030, 6,857, 4,384, 10,998, 16,620, 16,394, 4,941, 18,754, 4,318, 18,919, 18,647, 4.673, 15,046, 11,325, 12,980, 2,383, 8,545, 14,168, 19,733, 14,622, 14,997, 14,684, 5,800 11,161, 12,069, 1,602, 7,654, 1,830, 16,401, 18,438, 4,701, 7,528, 5,951, 15,219, 11,261, 6,311, 13,313, 17,850, 3,982, 78, 16,080, 13,576, 9,614, 11,514, 15,397. 6,361, 4,222, 4.808, 19,444, 16,764, 17,156, 1,322, 7,333, 4,851, 10,373, 12,046, 5,515, 17,287, 7,189.

პეტერბურგის ბირჟა, 8 იანვარი.

| | მყიდველ-ნი. | | გამყიდველ-ნი. | | გაყიდულ-ნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | — | „ | 6 | 89 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 138 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 07 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 234¼ | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 221 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 214 | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |


განცხადებანი

ისყიდება

ავტორთან (ოლგას ქუჩაზედ, გაბაევის სახლებში, ვერის სასტუმროს გვერდით) და წიგნის მაღაზიებში „ახალი თვით-მასწავლებელი და სახელმძღვანელო ცეკვა თამაშობის მეთაურობისა და დირიჟორობისა (რუსულისა და ფრანგულის სიტყვებით), სახახლის მასწავლებელიდ ნამყოფის დუნინ-ბარკოვსკაიასი.

ფასი 35 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

გრ. ჩარკვიანის-მიერ

შედგენილი და გამოცემული

„საერო კალენდარი მხატვრობით“

1891 წლისა

კალენდრის სივრცე იგივეა, როგორიც შარშან იყო. კალენდარში შემდეგი სურათებია მოქცეული: 1) საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლისა. 2) გელათის მონასტრისა. 3) თ. დავით ერისთავისა, 4) იოსებ დავითაშვილისა. 5) სომხთა მწერალის რაფფისა. და 6) გუტენ-ბერგისა და სხვ.

ფასი 15 კაპ.

იქვე ისყიდება

მისგანვე შედგენილი

კედლის ქართული კალენდარი

ფასი 40 კაპ. (3—3)

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—6)

Русское слово, часть втарая, რომელიც შეიცავს საკითხავ წიგნსა დამატებათა განყოფილებით, დაიბეჭდა მეორე გამოცემით (вторымъ изданіемъ). ეს გამოცემა ბევრად შევსებულია წინანდელზედ და შემკული მრავალი ახალი სურათებით. იპყრობს 200 გვერდსა და ღირს ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ისყიდება ტფილისში—გრიქუროვის და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიებში, ქუთაისში—წერეთლის მაღაზიაში და სხვაგანაც.

აქვე ისყიდება პირველი ნაწილი Русское Слово-სი, ფასი ექვსი შაური და Руководство для учителей къ Русскому слову, ფასი 50 კაპ.

(5—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Меликов. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.